



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №5(43) 2013 წ. 1-15 მარტი უსი 50 თეთრი

სსოფლო-სამეურნეო ბაზეთი საგაზაფხულო პროგრამის პირველი ნაბიჯები



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების – მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ხორცშესხმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად დარიგებული სასოფლო-სამეურნეო ბარათების მფლობელების მცირე ნაწილმა უკვე გამოიყენა ეს ბარათი. ასე, მაგალითად, გიორგიწმინდაში 9 მარტს დაიწყო ხვნის სამუშაო. აქ სამი მექანიზატორი მუშაობს ყოველდღიურად: ვია თედიაშვილი, ალექსი დარისპანაშვილი, დათო მელიქიძე. თითოეული ტრაქტორი დღეში 3-4, ზოგჯერ 5 ჰექტარ მიწას ხნავს. 12 მარტის მონაცემებით, აქ უკვე 60 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი იყო მოხსნილი. როგორც გიორგიწმინდის თემის რწმუნებულმა გიორგი ჭიაბერაშვილმა გვითხრა, გიორგიწმინდის თემში სასოფლო-სამეურნეო ბარათის მფლობელია 233 კაცი. აქედან 20-მა უარი თქვა საკუთარი მიწის ნაკვეთის მოხვნაზე, რადგან უკვე დამუშავებული ჰქონდათ. შპს „მექანიზატორის“ დირექტორის ვია მარხვაშვილის ინფორმაციით 12 მარტისათვის შპს „მექანიზატორის“ რვა მექანიზატორის მიერ პატარძელში, ნინოწმინდაში, გიორგიწმინდაში, თოხლიაურსა და ხაშში სულ 104 ჰექტარია მოხსნილი. მიწის ნაკვეთების მოხვნა მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც მიმდინარეობს.

ვილოცვა

ბეირფასო ქალებო, ქალბატონებო და გოგონებო, გილოცავთ გაზაფხულის ღამაში დღესასწაულების შემობრძანებას. მშვიდობა, სიკეთე, საქართველოს და თქვენი ოჯახების კეთილდღეობა შემოჰყოლოდეს მარტის ამ მზიან დღეებს სიხარულისა და საქართველოს გამთლიანების მაწაფებელი, მახარობლები ყოფილიყვენ ია-იები, ფურუსულები და ენძელები, საქართველოს აყვავების, წინსვლის კეთილი ფენი შემოეტანოთ ჩვენს მიწაზე წეროებსა და მერცხლებს. 3 მარტისა და 8 მარტის დღესასწაულებს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს – საგარეჯოელ, კაკაბელ, პატარა ჩაილურელ და ყველა ქალბატონს, ვინც მოუთმენლად ელის ჩვენი გაზეთის ახალი ნომრის გამოსვლას და კეთილი სურვილებით გვამხნევენს, გვერდით გვიდგას. გაზაფხულის შემობრძანებას და მარტის ღამაზე დღეებს ვულოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ქნო თინათინ ხიდაშელს. სიკეთე და ბედნიერება თქვენ! კვლავაც ხალისიანი ქართველ ერზე ზრუნვითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით ყოფილიყოს თქვენი ყოველი სამუშაო დღე დატვირთული, ქნო თინათინ! *ბაზემი „ბარჯის მაცნეს“ რედაქცია*

ღანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის მონაწილის მართვის სამსახურის უფროსი

თამარ შხთიაშვილი



დაიბადა 1962 წელს, სოფელ პატარძელში.

1985-1990 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობა ფინანსები.

1990 წლიდან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონის საფინანსო განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად. 2010 აგვისტოდან კი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით.

2013 წლის 4 იანვრიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის მონაწილის მართვის სამსახურის უფროსად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 5 მარტის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობელი გიორგი ლოლაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეები. თათბირზე განხილველ საკითხთაგან უმთავრესი იყო ქალაქ საგარეჯოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მოსახლეობის მიერ დაყენებული იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც „სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამით უნდა განხორციელდეს. მათ რწმუნებულებთან ერთად დაწვრილებით განხილეს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოს მოსახლეობისათვის ყველა საჭიროებო საკითხი და პრობლემათა პრიზმაში ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები გამოირჩა: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო გზების მოხრეშვა-მოასფალტება, ზოგიერთი მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირის მშენებლობა და სხვა. თათბირზე დაისახა მთელი რიგი დონისძიებები ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის უკეთ შესასწავლად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

სააგრო სპორტი იოკუ- ღანოსა და ბალიაქში

12 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერ პუსეინი და „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი-ს“ გენერალური დირექტორი მაირ მამელოვი, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობელთან გიორგი ლოლაძესთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში იორმუდანლოსა და ბადიაურში სასმელი წყლის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური



„შენ სიყვარული გქვია სხელად, შენ გაგიყარავს ქართველ ქალად“

ქალი - გამბედაობის მონადირეობა

ქალი - ოჯახის ერთგული



როგორ დაახასიათებთ ცისმარ თუ დია შვილი «ცისმარ თუ დია შვილი» რთვოც ქალს?

ცისმარ თედიაშვილი არის ქალი მამართლიანი, შრომისმოყვარე და მიზანსწრაფული.

შპანასენილი 23-24 წლის ბანაკშია მზარდი რაიონის ხელმძღვანელობაში მანდილოსანი აღარ გამოჩნდი. და, აი, ახლა საბარაქო მშენიციალიტიმის გამგებლის ერთ-ერთ მონადირე დანიშნულია ცისმარ თედიაშვილი. მან როგორც მაღალი კასუსიმგებლობის პირმა ერთგულად მონაწილე მონაწილე რაიონში გამოაშორინა ის თვისებები, რომლებიც რაიონის პირველი პირმა მონაწილეს უნდა ჰქონდეს: მოვალეობისაღმი მაღალი კასუსიმგებლობა, შრომისმოყვარეობა, კუნძულუნებლობა, მოქალაქეთა მიმართ გულსხმიანობა. სწორედ რომ მის ქალურ, სუსტ მხრებზე გადაინარა სტიქიით დაზარალებულთა სივსის დადამოწმება, სივსის კორექტირება - მოსახლეობის სასარგებლოდ და მხარდასაჭერად.

დღეს ცისმარ თედიაშვილი რაიმანიმე შემთხვას გვასაზუსრს - არასამსახურებრივს, უბრალოდ - ქალურს, თავად ქალი, ერთი შემთხვევით სუსტი, მამრამ სამხმე პირნიცაპული, მიზროლი რა უნდასტო.

რაგვს ოჯახს და საკუთარ მეობას კარგავს. როგორ ფიქრობთ, ქალმა რატომ დაკარგა თავისი პირველდელი დანიშნულება-ლიასახლისი და გადაერთო ოჯახის მარჩენალს, ოჯახში შემომტანის ფუნქციასზე? - საქართველოში ბოლო ოცწლეულის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა: აფხაზეთის და სამოქალაქო ომი, ახალი სისტემა, ახალი წყობილება, მერე რევოლუცია, მერე ისევ ომი. ამ ყველაფერს, კი თან გასდევდა გაუსაძლისად მიმე სოციალური ფონი. 90-იან წლებში დაიწყო ეკონომიკის კვლის სისწრაფით ნგრევა. სამუშაო ადგილები ფაქტიურად არ არსებობდა. ქართველი კაცები სახლში ჩასხდნენ. ქართველი ქალები შესამკობად ხშირად იყენებენ ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა: კვამამოსილი, მორჩილი, თავდახრილი, მშვიდი, დამყოლი, ნახი. სწორედ, ამ კვამამოსილი ქალებმა „ივაჟაკეს“ და ოჯახის რჩენას შეუდგნენ.

ქალი - სოფლის რწმუნებული

როცა ყველა პრობლემა იცის

ნანა ტაველიშვილი ბადაურის რწმუნებულია. ამ თანამდებობამდე (დაინიშნა 2012 წლის დეკემბერში) კი ისეთ სამსახურში უწევდა მუშაობა, საიდანაც უფრო მეტად დაუახლოვდა არა მარტო თავისი მშობლიური სოფლის მოსახლეობას, უკვე მთელი რაიონის მასშტაბითაც იცნობდა და ფლობდა ინფორმაციას მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ.

ისწინებს ეს სამსახური, მაგრამ, როცა ახლოდან ენახე, დავრწმუნდი, რომ საქმე მთლად ადვილი არ შეიძლება იყოს. რატომ? ათეული წლებით დაგროვილი პრობლემა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადაიტანას, მაგრამ ასე რომ არ ითხოვს დღევანდელი ცხოვრების დანქარებული ტემპი? შეიძლება, რომ დღეს დიასახლისს სახლში, ეზოში კი არა, უბანშიც არ ჰქონდეს წყალი და ოჯახი სასმელ წყალს შორიდან, სასმელი წყლის ონკანამდე მიუღვამელი ადგილიდან ეზიდებოდეს და ოჯახში მოსახმარ წყალს კი ცისტერნებით, კასრებით ვიდულობდეს?! რა ექნათ, ასეა საქმე. ქალი ვარ, მეუღლე, ორი შვილის დედა, დიასახლისი, მე თუ არა, ვინ იცის სოფელში მცხოვრები ქალის გასაჭირი?! სოფლის ორ უბანში ეწ. სასაფლაოსთან, თელეთისკენ მიმავალ გზაზე - საერთოდ არა გვაქვს წყალი, რაც შეეხება ვარდებისუბანში, - იქ ერთი საუბრო ონკანია და ისეთი მოსახლეული, რომ ადამიანი ფულს გაიშტეტებს - წყალს იყიდის და იქ ჩასვლიას მოერიდება. ჩვენს სოფელში სასმელ წყლის გამტარი სისტემა შესაცვლელია მთლიანად, ახლიდან გასაყვანი. მოსაწესრიგებელია სასოფლო გზებიც. „სკოლის გზა“ ისეა ატალახებული, რომ რაც იქ მოხრეშვა გააკეთეს, წვიმებმა სულ გადარეცხა. ეს გზა თუ არ მოასფალტდა, არაფერი გვეშეულება. წვიმისა და თოვლის წყლებისაგან დახრამულია IV და V უბნები. „სეტყვის საწინააღმდეგოს“ უბნის დასახლების გზა კი ისე ჭაობდება, რომ იქ მანქანებს გავლა უჭირთ.

ნაგავია გასატანი სოფლიდან. რამდენიმე თვეა ნაგავშიდი მანქანა დაზიანებულია.

ღია, ახლა კაპიტალური შეკეთებისთვისაა წადებული. ენახოთ...

დანგრევის პირამდეა მიხული საკრებულოს შენობა. კიბე ისეა მორღვეული, მეშინია მოქალაქის მოსვლის... ინგრევა ჩრდილოეთის ფასადიც. ალბათ ამასაც ეშველება მალე...

ნანა, ჩვენ სარემარტოდ უნდა გვესაუბრა (გახსენებ რესპოდენტს).

მართალია, მაგრამ, როცა ჩემს სოფელში მცხოვრებ ქალებს აძღვნი პრობლემა აქეთ - წყალი, გზა, ჯერ აქედან უნდა დავიწყო საუბარი...

მოდი, თქვენზეც ვისაუბროთ. როგორ ხელობთ 8 მარტს?

დიდი ტრადიცია ადრეულ წლებში, 80-90-იან წლებში მახსოვს, ახლა უკვე ბერისთვის ჩვეულებრივი დასვენების დღეა. ჩემთვის კი ყოველთვის იყო განსაკუთრებული. ჯერ სკოლაში ჩვენი თანაკლასელი ბიჭები გვანებიერებდნენ საწყურებით, შემდეგ მეუღლე... და მახსოვს ჩემი პატარა შვილებიდან - გურამიდან და ჯაბადან პატარა ხელებით მოკრეფილი იების ერთად მოღვჯული კონები, მახსენდება მათი შეფაკული ლოყებიც და სიხარულით აციმციმებული თვალებიც - იცოდნენ ძალიან მიხაროდა მათი ია-იები. შემდეგ გაიხარდნენ, იებზე ადარ დარბოდნენ და საწყურების ყიდვა დაიწყეს (მშობლებიდან მიცემული ფულის მოგროვებით). ახლა უკვე დიდები არიან - გურამმა უნივერსიტეტი დაამთავრა, ჯაბა მესამეკურსელია. ახლა სხვანიცაა, სხვა ფორმით იციან მოლოცვა... მეგობრები, ამხანაგები, ჩვენი უბნის ქალები, შინაურები, ნათესავები, რა ვიცი, ვინც როგორ მოვახ-

მამაკაცები დაითრგუნენ და ალლო ვერ აუღეს ახალ სისტემას. ფიქრობ, დღევანდელ რეალობაში ამ მიმართულებით სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა.

დღეს ვინ არის თქვენთვის მისაბაძი?

დედა არის ჩემთვის მისაბაძი, რომელმაც 3 შვილი გაგზარდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ გზაზე დავეყენებინეთ და კარგი სწავლა-განათლება მიგველო მე და ჩემს ძმებს.

შეიძლება თუ არა დღეს ქალი იყოს კარგი მეოჯახე, მეუღლე, დედა და თანამდებობის პირი?

ყოველი, რომ დიდი ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელია ქალი იყოს კარგი მეუღლე, დედა, მეოჯახე და თანამდებობის პირი.

რას უსურვებდით ქალებს? დღეებს?

საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, მშვიდობას, ქვეყნის და ოჯახების კეთილდღეობას და რაც მთავარია - ქალური ბედნიერების მოპოვებას.

რაიონის ქალების სახელით ჩვენც გილოცავთ ქალთა დღეს, გაზაფხულის შემობრძანებას, გისურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გმადლობთ.



ერხებო, ვიკრიბებით და აღვნიშნავთ. ყველაზე კარგ სიტუაციაში ჩემი მულია - მის დაბადების დღეზე ხშირად ვიკრიბებით.

ნანა, შენ ორი ვაჟის (თანაც შვილი დასაქორწინებელი ასაკის) დედა ხარ და ყველაზე მეტად შენ შეგიძლია შეაფასო, როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი?

რომ გითხრა, ძველ ჩარჩოებში ვარ - მეთქი ჩაკეტილი, არ ვიქნები მართალი. ქართველი ქალი მიზანსწრაფული, აქტიური, სულიერად ძლიერი უნდა იყოს. თუ ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებზე მიჯაჭვული, რაღაცნაირად ექცევა ჩარჩოებში, ინდიფერენტულად მიდის მისთვის ყოველი დღეცხოვრება. ოჯახში მამაკაცებისთვისაც მხოლოდ მხარეული, დიასახლისი, მრეცხავის სტატუსითაა (მადლობა უფალს, აქედან ყველა არა) და დიდი ბარიერის გადალახვა უწევს, თუ სამსახურში გასვლა მოიწადინა. მაგრამ, აქვე აღვნიშნავ, რომ ქალი სტიმულის მიმცემი, მამოძრავებელი ძალაა მეუღლისა, შვილებისა, ამიტომ მას მოღუწების უფლება არა აქვს.

რას უსურვებდით ქალებს?

სიხარულს, ბედნიერებას, აპრილივით ლამაზ ცხოვრებას, შიგადაშიგ მარტსაც - გაუგებრად, ლამაზად მოგოჟიანებულ დღეებსაც გამორეულს. ისე ცხოვრებას აზრი, სიღამაზე არა აქვს... ყველაფერი კარგი და კეთილი ჩვენს ქალებს.

„მფრთხილი - მომთმენი, გავწვის მოყვარული უნდა იყო“



ასიამოვნო მოსაუბრეა. საინტერესოდ საუბრობს თავის პროფესიაზე და იმ შრომაზე, რასაც ის თავისი მოღვაწეობის ამ თვრამეტე-ცხრამეტი წლის მანძილზე ეწევა. არ არის ადვილი იყო მწვრთნელი და თანაც სპორტის იმ სახეობაში, რომელიც გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს და ამასთან, ფიზიკურ გამძლეობასაც. დიას, ელენე ფარეშიშვილი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს ჭადრაკის სპეციალისტად მოუვლინა. თუმცა, სპორტულ მასაჟისტად შეეძლო მუშაობა, რაც ნაკლებ დროს და ნერვიულ დაძაბულობას მოითხოვდა, მაგრამ ისევე ჭადრაკისკენ გაუწია გულმა. ახლა კი თავს ვეღარც დაანებებს. ჯერ ერთი, შევისსხლხორცა ამ

ქალი - მწვრთნელი

პასუხისმგებლობას, შეუყვარდა თავისი მოსწავლეები, პატარა მოჭადრაკეები და ვერც ნანის უღალატებს, რომელსაც უკვე 16 წელი შეუსრულდა და ისეთი ნებისყოფისა და ისეთი მიზანდასახულ პიროვნებად ყალიბდება, ბოლომდე უნდა მიჰყვებ. უერთგულს და ჭადრაკის საყვარეობში თავისი სიტყვა ათქმევინოს.

გაცისკროვნებული სახით მითვლის ელენე თავის პატარა მოჭადრაკეებს და თითოეულის შესაძლებლობაზეც მიაბობს, თანაც დასძენს: - მწვრთნელი მომთმენი, ძლიერი ნებისყოფის უნდა იყოს და ამასთან, ბავშვი ძალიან უნდა უყვარდეს. ყველა-ნაირად უნდა ეცადოს 5 წლის ბავშვს, რომელიც ჭადრაკის თამაშს იწყებს, გული კი არ აუცრუოს, პირიქით, დააინტერესოს და წახალისოს. შეჯიბრი სპორტის სხვა სახეობაში, ვთქვით ჭიდაობაში 5 წელში შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ ჭადრაკი ისეთი რამ არის, 7-8 საათი გრძელდება ტურნირი. ამ დროს მწვრთნელი თავისი მოსწავლის თამაშს უყურებს, აფასებს, აზროვნებს, აანალიზებს, ნერვიულობს, განიცდის. ძნელია,

მაგრამ, საბოლოო შედეგი ხომ საამაყოა, სახიხარული. გავიწყლება ის განცდება. ტურნირამდე მოჭადრაკე ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოს, თუმცა ფსიქოლოგი არ გვეყავს. ამიტომ ფსიქოლოგის ფუნქციაც მწვრთნელმა უნდა შეითავსოს. ვეროპული ქვეყნების თითოეულ მოჭადრაკეს თავისი ფსიქოლოგი ჰყავს. ეს კი იცით რას ნიშნავს? ძალიან ბევრს.

მოსწავლე წლების მანძილზე დადის ჭადრაკზე. აქვს შესანიშნავი მიღწევები, არის ნიჭიერი, მაგრამ VII კლასიდან უკვე ეხარება ჭადრაკი. ჭადრაკი დიდ დროს მოითხოვს - სწავლა, აზროვნება, ამიტომ ბევრმა ვერ შეძლო, არ ვყო ნებისყოფა და დაინებდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ცნობილი მოჭადრაკეები გვეყოლებოდა, არა მარტო რაიონის და ქვეყნის მასშტაბით. იქნებ ვეროპაშიც გასულიყო მათი სახელი, მაგრამ ჯერჯერობით ნაინუნაფესოშვილი სულანი-ხორცაძე დაინტერესებულია ჭადრაკით. ის არც არავის ხაოთით თამაშობს ჭადრაკს და არც არავის ჯიბრით. ჭადრაკის თამაშში მას სიამოვნებას ანიჭებს. აი, ეს არის მთავარი. - მეუბნება ელენე. არც ელენეს ექნებოდა ნა-

კლები წარმატებები, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ის ჭადრაკზე დადიოდა, შეჯიბრის არც ასაკობრივი დაყოფა იყო და არც დედანს შეეძლო უფრო ძლიერ მწვრთნელთან თბილისში საკონსულტაციოდ წაყვანა - ეკონომიური შესაძლებლობა არ იყო, თორემ თავად ელენე საბჭოთა კავშირსა და საქართველოში გამართულ საჭადრაკო ტურნირებშიც იღებდა მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებითაც. ელენე ისე „გადააყვავა“ მოსწავლეებს ჭადრაკის ხელოვნების დაუფლებაში, რომ წლები „გაფრინდა“. ან როგორ მოახერხებდა და მოახერხებს ოჯახის შექმნას, როცა დიდის საათებში მერე და მეოთხე საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში ატარებს ჭადრაკის საათებს, სამის შემდეგ კი სპორტსკოლაშია თავის მოსწავლეებთან მეცადინეობაზე. ელენე გახვდის ფურცლებიდან დედის დღეს და 8 მარტს ულოცავს ყველა დედას, ყველა ქალს და უსურვებს ჯანმრთელობას: - მინდა ყველა ქალი ქუჩაშიც და სახლშიც გაიმეხული დადიოდეს, დარღისგან და ფიქრისგან შუბლზე ნოოქი არასოდეს გაგჩნდეთ, ჩემო ძვირფასებო!

გვერდი მოამზადა: მონა ილკაშრა

„შენი შვილები უნდა გვეჩვენონ ღვინა, რომ გულით ზილონ ქართლის სინათლე“

დღეს მასპინძელი ვიქნები...



უცნაური მასპინძელი საოცარი სტუმრებისა! გიჟი ვიქნები ვეღარ ვიცი, ამდღეს და სუფიანი საღამოზე... მინდა დღეს მათ მივულოცო, როგორც ქალთა შორის ქალებს და დედათა შორის დედებს!

აგერ პირველი სტუმარიც გამოჩნდა - ეს შუშანიკია-დედა და ქალი, რომელიც გულის სიდრმიდან ამოთქვამდა ვარსკვლავს: „უკანოდ ნაყოფი ჩემი დააჭკნო და ყველა იმედი მოსთუნა“ და ვინ იცის, რამდენი ცრემლი დაუღვრია შვილების გამო! მედიდური პირველიმწამე დედის შემდეგ მისთვის დამახასიათებელი სიმკაცრითა და თავდაჭერილობით, სახეზე გამოხატული ღრმა კაემანით მოაბიჯებს ოთარაანთ ქერივი - ყველაზე მართალი დედა და ქალი! ეს ის ქალია, სიცოცხლე ერთადერთი შვილის გაზრდას რომ მიუძღვნა და გარდაცვლილი ქმრის ერთგულება ძაბით ატარა! ამ ქალმა იცის ყველაზე მეტად გაზაფხულის, სიცოცხლისა და სიყვარულის ფასი! მერე რა, რომ ჯერ კიდევ ოცდაათი წლისა დაქვრივდა!

ჩემი შემდეგი სტუმრები ია და ლია არიან, დიდა ქართველმა მწერალმა რ. ინანიშვილმა რომ გამაცნო და დამახლოვა! მე უნდა დავარღვიო მათი ყოველდღიური მობრუნება, რომ ყველაზე ღამაშია მათი

ცრემლები, ისეთია, ია რომ ამოჰყავს! მათი შვილები ვართ! მერე რა, რომ მათ შვილი არ ჰყოლიათ?!

აი შორენაც, „მჭმუნვარე, როგორც ყინვისის ანგელოზი“! რა დარდი აქვს ამ ქალს, ასე რომ დაუმშვენებია?! იქნებ ეს ქალური დარდი, მრავლისმომცველი და უკიდურესი? ეს დარდი ხომ ჩემიცაა...შენიცაა... რამდენი ვყოფილვართ?! აი, თამარი, ქეთევანი, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა, ვვა, ანა ფრანკი, ინგილო ქალი, მოყმის დედა, ვეფხვის დედას სამძიხარი რომ უთხრა... ღმერთო, რა სხვადასხვანაირები არიან და როგორ ჰგვანან ერთმანეთს! რამდენი სიხარული და ტკივილი დააქვთ უსუსური მხრებით!

დღეს მათ ვულოცავ! დედიკო! ბუბია! ჩემო მასწავლებლებო, მეგობრებო! - თქვენ არ გეწვივით! ჩემი სტუმრები რომ არა, რას გავიგებდით, რა არის დედაშვილობა, სიყვარული, ერთგულება?! არც თავგანწირვა გვეცოდინებოდა და არც გაუსაძლისი ტკივილის დათმენა! ყველასთვის მაქვს ერთი კონა ია და თბილი სიტყვა! მომიტყვევებ მცირეოდენი... მუხლს ვიდრე თქვენ წინაშე! დამამადლეთ თქვენი ძალა და გრძობა, რათა შემქმნელს ყოველთვის, მრავალი წლის შემდეგაც ვიგრძნო გაზაფხული და ამყავდ, თქვენს მსგავსად, ვთქვა, რომ ვარ ქალი, გაზაფხულის მოტრფიალე!

*სალომე შიოშვილი,
ნინოწმინდის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.*

თვალმებს ვხუჭავ და მას ვხედავ

მე ისევ სამი ან ოთხი წლის ვარ, კალთაში მიღვეს და ჩვენ ორნი ცას შევყურებთ. დედა მეუბნება, რომ ვარსკვლავებს ვერ დავითვლი, მაგრამ მე არ მჯერა მისი ნათქვამის. თვლა ხუთამდე ვიცი და ერთ დიდ მოკაშკაშე ვარსკვლავს მივჩვენებ. დედა მასწავლის, რომ ის ძალიან დიდია და რადგან ჩვენ შორის ვცხოვრობთ, ის პატარაზე მოსნანს. არც ახლა ვუჯერებ მას. მე ვიცი, რომ ვარსკვლავი ერთი ნამცეცის ხელაა, მეტის არ იქნება. დედა თავზე მეფერება.

- ცა რას გავს, დე? - ვკითხვები გულუბრყვილოდ და გულწრფელად.

- ცა დიდი ხალიჩასავითაა, ოღონდ უფრო ღამაშია, - მისხნის დედა და მეც ბავშვურად მიხარია, დედამ რომ ყველაფერი იცის.

ლოცაზე მკოცნის თბილი ტუნებით და დასაძინებლად მეპატიუება.

მე ვეჯიუტები, არ მინდა დედის თბილ კალთას მოვწყდე. პატარა ხელებს ძლიერად ვაჭდობ ყელზე. დედა ცისკენ იშვებს ხელს და მოწყვეტილი ვარსკვლავისკენ

მითითებს.

- ვარსკვლავი გაფრინდა? ვეკითხები გაოცებულად.

- ჰო, მასწავლებლს მოკლედ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი კითხვებისთვის პასუხის გაცემა ეძნელება.



ამ დროს სურვილი უნდა ჩაიფიქრო და აუცილებლად ავისრულდება - მასწავლის დედა. არც ახლა მჯერა მისი - დედებს ხომ ტყუილების სჯერათ - მეთქი, ვფიქრობ.

ისევ დედას ვხუჭვები და იმ სიბოროტით ახლაც ვგრძობ.

საბანს ვისწორებ და შიში მიპრობს, მარტობის მეშინია, უნებურად ფანჯრისკენ ვიხედები და ვარსკვლავებს ვუყურებ, ამჯერად მარტო. ვარსკვლავი მოსწყდა.

„ამ დროს სურვილი უნდა ჩაიფიქრო და სურვილი აუცილებლად ავისრულდება“, - მახსენდება დედის დარიგება. დედას ენატრობ. დედებს ხომ ტყუილების გვეჯერა. დედა არ მოვა, მე ეს ვიცი. ის უკვე ერთი ვარსკვლავია ცაში.

თეთრი იყო ყველაფერი: კედლები, ფარდები, ნოსი, საწოლი...

სითეთრეში ჩაკარგულიყო თინას გაფითრებული სახეც.

- დედა, გესმის ჩემი? დედა, გთხოვ, მითხარი რამე, - ჩურჩულებდა გოგონა და ცრემლს თეთრი ცხვირსახოცით იშვებდა.

თეთრი სიკვდილი ოთახის კუთხეში ატეხულიყო. თანაც, ისევე როგორც სიკვდილი, კარგად ხედებოდა, რომ მარტო წასვლას ნამდვილად არ აპირებდა ის.

- დედა, დედა... არ მიმატოვო, - არ ცხრებოდა თინა.

თვალმებს ვხუჭავ დედა უმოძრაოდ იწვა. გოგონა ტიროდა.

- დღეს 3 მარტია, დედა. შენი დედა დღეს დედა... მოსთქვამდა გოგო და დედის დამატკნარ ხელს მაგრად იხუტებდა გულზე, მალიმალ კოცნიდა და ცრემლს იშვებდა. დედა ღუშდა.

სიკვდილი ისევ ისე იდგა კუთხეში.

თინა ახლა უკვე დედის ჭაღარას ეფერებოდა.

- არ წახვიდე, არ წახვიდე... - ემუდარებოდა ქალს.

ხანდახან კარდიოგრამის ხაზებს შეხედავდა, ღრმად სწამდა, რომ დედა იცოცხლებდა, იცოცხლებდა დღეს, ხვალ, ზეგ... არა, არ ჰქონდა დედას უფლება ამ დღეს წასუ-

დედა



დე, რა თბილი ხარ, დე... შენს დანაოტყბულ და ფაფუკ სახეზე რამდენი რამის ამოკითხვა შეიძლება, დე... მთელი შენი ტკივილი და სიხარულია ამ ბეჭდილი შენს წმინდა სახეზე, დე...

დე, რა თბილი ხარ, დე... წლები გემატება და უფრო და უფრო ფასდაუდებელი ხდები, დე... უფრო და უფრო მიყვარდები, რაც დრო გადის და უფრო და უფრო იტრები ჩემს სხეულში, სულში და საერთოდ ჩემში, დე...

დე, რა თბილი ხარ, დე... რა ტბილი და თბილი ხარ, დე... ამ ყველაფერს სიტყვებს ვერ ვუძებნი დე, ამ გაცვეთილი სიტყვებით სიყვარულს ვერ გადმოვცემ ამ ფარატინა ფურცელზე, დე...

დე, რა ტბილი ხარ, დე... მაპატიე რა, მაპატიე, რომ ვერ გაფასებ, ისე როგორც უნდა გაფასებდე, დე...

*მედი ახარიაშვილი,
საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*

დედაშვილობა



შვილი ჩასახვიდა დღეს და დღეს ნაწილია და მის ნაწილადვე რჩება სიცოცხლის ბოლომდე. საოცარი ცნებაა დედაშვილობა, ცამდე აყვანილი, ამდღესული. თვით მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, ქალისაგან - მარიამ ქალწულისაგან იშვა.

განა ყველა დედა ისმენს „ქართველის ვედრებას“, რომელიც გვეუბნება: „შთაგონებდი კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას... სახრდოდ მხმარობდი ქრისტესა მცნებას“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი როდი ხდება წესის მიხედვით.

ჩვენ ხშირად ვისხენებთ წარსულის გმირ ქალებს, ვამაყობთ მათით და ვფიქრობთ: „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა მათი გამოჰყოლოდათ“.

დღესდღეობით რთულია ცხოვრება. კეთილი საქმის კეთება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დედობა დიდი პასუხისმგებლობაა დედასა და სამშობლოს წინაშე. აღარ დავიწყებ საუბარს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ჭეშმარიტმა დედამ. გვეყო ამდენი დიდაქტიკა და სიტყვა მრავალი მონოლოგი. დედაშვილის ურთიერთობაში მთავარია სიბოლო და სიყვარული, მათი გამოხატვა. დღეს ეს განსაკუთრებით საჭიროა. საზოგადოებაში გულგრილობა ბატონობს. დღეს, როგორც არასდროს გვეჭირდება სიყვარულის, მით უმეტეს დედაშვილური სიყვარულის გაძლიერება. თუ ამ პროცესს ყველანაირად ხელს შევუწყოთ და ქართველი ერის ცნობიერებაში დედაშვილური ბურჯი უფრო გამყარდება, ყველა პრობლემა გადაიჭრება იოლად გადაილახება, ვიდრე ზღვა.

*ნატო (ნაწილი),
საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე.*

დედას



მე ვეძებ ჩემს დედას. თვალმებს ვხუჭავ და მას ვხედავ. თვალმებს ვხუჭავ და მას ვხედავ. თვალმებს ვხუჭავ და მას ვხედავ.

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო. ყველაფერი შენ შემავარე და შენით მიყვარს. გამაძლიებ, დედა...

„მე შენით: ვხედავ ქვეყანას, სინათლით სავესს, დავდივარ, ველავ, მიყვარხარ, მაწმობ, ვიცინი, მათოვს...“ (მუხრან მაჭავარიანი)

დედა სულ სხვაა...

დედის ალერსი თითქოს გაწვანარებს, სულის სიმებს გირხვეს მისი ნამღერი იანანაც.

დედა-შვილური სიყვარული - სიყვარულის ყველა ფორმისგან გამორჩეული, შეუცნობადი, და დამაფიქრებელია.

ჩვენ დედამ გეშობა. ჩვენთან ერთად დაიბადა სიყვარული, სიყვარული უფლისა, მოყვასისა, მტრისა.

უფალი გვასწავლის პატივი ვცეთ დედასა და მამას ჩვენსა.

„სიყვარული თავად ღმერთია“... სიყვარული შობს სიყვარულს...

*ნინო (ნაწილი),
საგარეჯოს III საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე*



კაკაბეთის ეკლესიაში პირველი ნიწინდა რატარღა

სახელობის დიდი დაინტერესება ეკლესიური ცხოვრებით. აქაურები წლების განმავლობაში სხვადასხვა სოფლების ეკლესიაში დადიოდნენ. კაკაბეთში სხვადასხვა დროს მანავის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა

დავითი (ბურდული) და საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი შირიანი (არდაზიშვილი) აყენებდა წირვა-ლოცვებს.

7 მარტს კი კაკაბეთში ახლადგებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აკურთხა ნინოწმინდა-საგარეჯოს ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე). ტაძრის კურთხევას ესწრებოდნენ გურჯაანი-ველისციხის მთავარეპისკოპოსი მეუფე ექვთიმე (ლევაია) და სხვა სასულიერო პირები.

ეკლესიაში პირველი წირვა ნინოწმინდა-საგარეჯოს ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ლუკამ დააყენა. წირვის შემდეგ მეუფე ლუკამ მრევლს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვრებად მღვდელი ვახტანგი (მჭედლიშვილი) და მღვდელი ლაზარე (ბუნუკური) წარუდგინათ.

ეკლესიის აგების მოთავე-ინიციატორი და დამფინანსებელი იყო კაკაბელი არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი უშანგი კუხანაშვილი.

წირვის ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე.



ნინოწმინდა-საგარეჯოს მთავარეპისკოპოსი ლუკა და გურჯაანი-ველისციხის მთავარეპისკოპოსი ექვთიმე კაკაბეთის ეკლესიის კურთხევაზე.

კაკაბეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესია-საყდარია, რომელიც ძირითადად XVIII-XIX საუკუნეში აშენდა, უფრო მეტი კი ძველი, მტრისგან იავარქმინილი ეკლესია-საყდრების საძირკვლიდან განახლდა. მათ შორისაა კაკაბეთის წმინდა სამების ეკლესია, რომელსაც აქაურები და მეზობელი სოფლების მოსახლეობა „კავთად“ მოიხსენიებენ. კაკაბეთშია კუპატაძეანთ საყდარი, ჯავახი ახოს საყდარი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია, კვირაცხოველი და ხარების სახელობის ეკლესია. 1875 წელს კაკაბეთში წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში მღვდელი ზაქარია ექვთიმეილი იყო მოძღვარი, მედავითნე ალათან მჭედლიშვილი, შტატგარეშე მედავითნე კი – გიორგი მჭედლიშვილი. კაკაბეთის წმინდა ხარების სახელობის ეკლესიაში კი მოძღვარი ალექსი ყანდარელი იყო, მედავითნე მალაქია მჭედლიშვილი, შტატგარეშე მედავითნე – ივანე ფხალაძე. ბოლშევიკების დროს ორივე ეკლესია დაიხურა. აქ მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო სოფლის მო-



კაკაბეთის ეკლესიის მოძღვრები თეიმურაზი და ლაზარე ეკლესიის აშენებელ უშანგი კუხანაშვილთან ერთად.

სპორტბაგერტიანების სპორტული დარბაზი სრული დატვირთვით ამოქმედდება



ჩვენი გაზეთის №3 -ში (1-15 თებერვალი) გამოქვეყნებულ ინტერვიუში საგარეჯოს აიპ სპორტბაგერტიანების დირექტორ გიორგი მაისურაძესთან საუბარში ნათქვამი იყო, რომ სპორტბაგერტიანების, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელობის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო საგარეჯოს სპორტდარბაზისათვის (უფროსი მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) იმ ფუნქციის დაბრუნება, რაც მას ათეული წლის წინ საგარეჯოელი მოჭიდავეების სპორტული მომზადებისათვის ეკისრებოდა – აქ ფუნქციონირებდა კეების ბლოკი, საშხაპე, საუნა, სასტუმრო-საძინებელი ოთახები. მომავალი სპორტსმენებისათვის აქ მკაცრი რეჟიმით მიმდინარეობდა ვარჯიში. მაშინ ასეთ შეკრებებს ათდღიან, ოცდღიან „ზბორებს“ უწოდებდნენ. შეკრებების შედეგები კი მართლაც საოცარი იყო – დიდი სპორტული წარმატებები. ამის საფუძველი კი იყო წინაპირობა, სპორტსმენი ყოველდღიურად 10 დღის

განმავლობაში 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდა მწვრთნელების მეთვალყურეობის ქვეშ. ვარჯიში, დასვენება, კეება მიმდინარეობდა შესაბამისი დღის რეჟიმით.

9 მარტს სწორედ ამ სპორტული კომპლექსის გახსნა აღნიშნეს საგარეჯოელმა სპორტსმენებმა. აქ ერთდროულად ჯერჯერობით 25 სპორტსმენის მოთავსება შეუძლიათ. ისე კი, სპორტულ კომპლექსს მთლიანი დატვირთვის შემთხვევაში 80 სპორტსმენის მიღებს ერთდროულად. კომპლექსის I სართულზეა განლაგებული სპორტული დარბაზი, კეების ბლოკი, საშხაპე, მეორე სართულზე – საძინებელი, საკონფერენციო დარბაზი, დასასვენებელი ოთახი, სველი წერტილები. მესამე სართული კი ჯერჯერობით გამოუყენებელია, თუმცა აქ ახლო მომავალში საძინებელი ოთახების მოწყობაა გათვალისწინებული. გაერთიანების ხელმძღვანელობას ამ საქმის მოგვარებაში დახმარების იმედი აქვს პარლამენტის წევრის თინათინ ხიდაშელის,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლოლაძისა და იმედოვნებენ, რომ ამის შემდეგ სპორტული კომპლექსი სრული დატვირთვით ამოქმედდება. ამასთან, აქ აუცილებელია მოეწიოს საუნა, რომელიც სპორტსმენტა წონის გაკონტროლებასა და გაკაუებას მოემსახურება.

9 მარტს სპორტული კომპლექსი გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მღვდელმა გიორგი პავლოვმა აკურთხა.



ქალთა დღეს მიემართება

საგარეჯოს კულტურის სასახლეში ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი მიჰყავდათ თინათინ მეზურიშვილსა და პაატა ქვლივიძეს. კონცერტზე მოწვეულ პედაგოგებს, ექიმებს, აღმზრდელებს, დიასახლისებს 3 და 8 მარტი მიულოცა საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორმა თინათინ მეზურიშვილმა. კონცერტში მონაწილეობდნენ: ქალთა ანსამბლი „ნინარი“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), თბილისის ვაჟთა ანსამბლი „ფაეტონი“ (ხელმძღვანელი ბექა დვინაშვილი), კომპოზიტორისა და მომღვდლის მარინა შანიძის სიმღერა შეასრულა მარინა შანიძისა და ბესიკ დვინაშვილის ოჯახმა. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი თინათინ მეზურიშვილი, ქორეოგრაფები ფიქრია ჩეკურიშვილი და გია კუჭუაშვილი) და ქორეოგრაფიული ანსამბლი „სინათლე“ (ქორეოგრაფები: დათო და ჯიმი მამარდაშვილები).

მარინა შანიძის ლექსი „ოღონდაც გაჩნდნენ“ წაიკითხა საგარეჯოს კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა პაატა ქვლივიძემ.



როგორ უნდა იმოსებოდეს მართლმადიდებელი ქართველი ქალი?!

სამოსალო ბზახალს

ქველი ალთქმის სიბრძნე, კერძოდ კი „სიბრძნე ზირაქისა“ ბრძანებს: ადამიანს ამხელს 3 რამ – სამოსელი, სიარული და სიცილი. აქედან გამომდინარე, სანამ ადამიანი მეტყველებას დაიწყებს, მასთან ურთიერთობაში შეუვა, მისი გარეგნობით, სამოსელით, სიცილით შეგვექმნება მასზე გარკვეული შეხედულება.

წმინდა მამები ბრძანებდნენ: ქალბატონი, რომელსაც ვულგარულად აცვია, ესე იგი არ აცვია შესაფერისად, ის მამაკაცთან ცოდვაში შედის. რაც არ უნდა მოწესრიგებული იყოს მამაკაცი, მას მინც გაეცქივება თვალი მანდილოსნისკენ და ეს ნიშნავს იმას, რომ მამაკაცი მასთან იმრუშებს. ქალები არ იქცევიან სათანადოდ ისე, როგორც საჭიროა. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში აღნიშნავდნენ, რომ ადამიანები ნაცმულდობით ბრკოლდებოდნენ. პირდაპირ წერია, რომ მეძავეები მეძავის სამოსელით იმოსებოდნენ, დღეს კი ძალიან ძნელია, ჩვეულებრივი, პატიოსანი ადამიანი მეძავისაგან ნაცმულობით გაარჩიო. ხშირად

ვხვდებით, ადამიანი ოჯახის პატრონია, ჰყავს მეუღლე, ბავშვები და ისე შეუფერებლად აცვია, რომ ხანდახან დამნახავს შერცხვენილი მისი დანახვა. არიან ადამიანები, რომლებიც იმდენად უდიერად იქცევიან, რომ შეუფერებლად შემოსილები თამამად შედიან ტაძარში. როდესაც მოძღვარი ეუბნება – დაიფარე მკერდი, ჩაიცვი კაბა, ნუ გიჩანს მუცელი, ვერ ხვდება, რატომ ეუბნება და საერთოდ, რაზე მიუთითებს მოძღვარი. თუ ის ადამიანი აპირებს ეკლესიაში სიარულს და ცხოვრების წესის შეცვლას, კეთილი ინებოს და მოძღვრის რჩევას დაემორჩილოს. მოძღვრებმა ეკლესიაში ადამიანებს ზედამიანობა უნდა ასწავლონ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოძღვრებს ჯერ ადამიანური ქცევებისაგან ნაცმულობის სწავლა უწევთ. კარგი იქნება, თუ ყველა მამა, მამა ყურადღებას მიაქცევს მათი მუშაობის დედეები, ქალიშვილები სახლიდან როგორ შემოსილები გამოდიან. როგორ, მამაკაცი ხარ და ვერ ხვდები, რომ შენი შვილი, მეუღლე, და შეუფერებლად იმოსება? ნუთუ

მამაკაცმა მამაკაცობა დაკარგა და ვერ ხვდება, რომ ოჯახში მანდილოსანს მანამ უნდა მიაქციოს ყურადღება, სანამ სახლიდან გამოვა, ვინმე შენიშნავს მისცემს, ანდა ავტომობილიდან რეპლიკას ესვრის. ერთ-ერთი თანამედროვე მოაზროვნე ამბობს: **ბუნებას ისე რომ დაემახინჯებინა ქალი, როგორც მოლა ამბინჯებს, თავს მოიკლავდა.** დღეს ადამიანები არა მხოლოდ ცოდვაში ვარდებიან, კაცებიც ქალების მიმართ გულგრილები ხდებიან. მათ აღარ აინტერესებთ ქალის სიშიშველე. ისე მიანიჭეს თვალი ქალის ხეულის გარკვეულ ადგილებს, რომ მათ ქალბატონების მიმართ არავითარი ლტოლვა არ გააჩნიათ. ეს კი ნიშნავს, ჩვენ მივიღებთ ბევრ ფსიქოპურად დაავადებულ მამაკაცს, არანაირი სიმპათია და მოთხოვნილება რომ არ ექნებათ ქალების მიმართ. სახარებაში ყველაფერზე არის ყურადღება გამახვილებული – ქალს უნდა ჰქონდეს გრძელი თმა, მამაკაცს – მოკლე, კდემამოსილება ნიშნავს იმას, რომ ქალს არ უნდა უჩანდეს გარკვეული ადგილები, რომლითაც ცოდვასა და ვნებაში ჩააგდებს ადამიანს. აქედან გამომდინარე, თუ ქრისტიანი ერი ვართ, თან პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ ქართველი ქალი ოდითგანვე იყო ღირსეული თავისი ცხოვრების წესით, მეტყველებით, გარეგნობით, უნდა გავგახსენდეს, როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები. არ შეიძლება გერქვას დიდი წმინდანის სახელი და გეცვას ვულგარულად. არცხვენდეს შენს სახელს, გვარს, ახლობლებს. ქართველი ქალი ვალდებულია, შემოსოს ისე, როგორც ქართველობას და მართლმადიდებლობას ეკადრება, რადგან საქართველოს მომავალი სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული.

ვხვდებით, რომ საქართველო ტურისტულ ქვეყნად გადაიქცა. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ შენ თუ ტურისტს ისეთივე დახვედები, როგორც თავად არის, არაფერი დააინტერესებს. შენ მას ის უნდა დაახვედრო და დაანახო, რომ ამ ლამაზ მთებში, ბუნებაში ლამაზი ხალხი ცხოვრობს და მათ ლამაზი სამოსელი სჭირდებათ. თუ ეს არ მოხდება, მაშინ ჩვენ ავითქვიფებით გლობალიზაციაში, ევროპულ კულტურაში და აღარაფერი დაგვრჩება შალახოს, კინტაურის, ხინკლის კუთების გარდა და არც არავის დაგაინტერესებთ.

ვხვდებით, რომ საქართველო ტურისტულ ქვეყნად გადაიქცა. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ შენ თუ ტურისტს ისეთივე დახვედები, როგორც თავად არის, არაფერი დააინტერესებს. შენ მას ის უნდა დაახვედრო და დაანახო, რომ ამ ლამაზ მთებში, ბუნებაში ლამაზი ხალხი ცხოვრობს და მათ ლამაზი სამოსელი სჭირდებათ. თუ ეს არ მოხდება, მაშინ ჩვენ ავითქვიფებით გლობალიზაციაში, ევროპულ კულტურაში და აღარაფერი დაგვრჩება შალახოს, კინტაურის, ხინკლის კუთების გარდა და არც არავის დაგაინტერესებთ.

მიუიწყებელი სახელები

ისინი სამეობლოს იხაზდნენ

ქართველი ხალხის მესხიერებაში სამი გმირი ქალის სახე შემოინახა:

მაია წყნეთელი, თინა წაკისელი და თამარ ვაშლოვანელი. რატომ ფოლკლორით? ხალხი არ ივიწყებდა სამშობლოს მოყვარულ უბრალო გლეხის შვილებს – წერილობითი წყაროები ხომ იშვიათად, ან საერთოდ არ აღწერდნენ დაბალი ფენის ადამიანების გმირულ საქმეებს.

სამივე ქალი თავიანთ სოფლებს გარეშე მტრებისაგან იცავდა: ოსმალოსგან, სპარსისგან, განსაკუთრებით კი ლეკებისგან, რომელთა შემოსევა ხშირი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. მაშინ მომხდურისგან თავდაცვას ყველა სწავლობდა. მათთან ერთად ალბათ სხვა ქალებიც იბრძოდნენ, მაგრამ ისინი ალბათ ისეთი გაბედულები და ჩამოყალიბებული მებრძოლები არ იყვნენ. ცნობილია, რომ მაია წყნეთელს მართლაც შემოაკვდა ბატონი. იგი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. მისმა მშობლებმა ვერ გადაიტანეს მაიას უბედურება და მალე გარდაიცვალნენ. მაიამ მოკლა მოძალადე ბატონი, ვაჟის ტანსაცმლით შემოსა და პატარა კახს ეახლა. მას მათე ბიჭად გაეცნო, ობოლი ვარ არავინ მყავსო და მეფესაც

მიუღია თავის მფარველობაში (როგორც ვარაუდობენ, მაია გვარად ოძელაშვილი უნდა ყოფილიყო).

მაია მეფის კარზე მსახურობდა. ერთ ბრძოლაში ისე უსახელებია თავი, რომ აღფრთოვანებულ ერეკლეს უთქვამს: „ახ, შენ გენაცვალე! კაციც შენა ყოფილხარ და ქულიც შენა გხურებიან“. ერთხელ სოღანლულთან მეფეს თათრების წინააღმდეგ რჩეული ვაჟკაცები გამოუყვანია. მღვევარ რაზმს მაიაც ახლდა. მიახლოებისთანავე მაიას ცხენი მტრის რაზმში შეუჭვნივია და მეთაურისთვის თავი გაუფადებინებია. მტერი პანიკაში ჩავარდნილა... და ამბის წამლები აღარაფერ ყოფილა.

მაიას ვაჟკაცურ ქმედებას, მის მამაცობას შურით უყურებდნენ ქართველი თავადები და ამას სხვა ფაქტიც მიემატა – მაიამ მეფე ერეკლესთან თავგასული თავადები დაასმინა. მეფემ სასულიერო პირების თანდასწრებით თავადები ჯვრისა და სახარების წინაშე შეაჩვენა. მათე ბიჭმა თავადები საბოლოოდ გადაიმტერა. ერთხელ ერეკლემ მათე ბიჭი სადღაც გაგზავნა, თავადებმა მკვლელები დაადგინეს. მათე ბიჭმა კი მღვევრები დახოცა – მათგან ერთმა მოახერხა და უთხრა – მეფემ დაგვაგადა შენი მოკვლა. განაწყენებული და თავზარდაცემული თრიალეთს გაეცალა. იქ ხალხს მარცვავედა ტყეში გახიხნული, მაგრამ თუ მტერი შემოსეოდა იმ კუთხეს, ხალხს ბრძოლაში მათე ბიჭი მიუძღოდა.

ერთ დღეს სოფელში შესულ ერეკლე მეფეს მტერი მიჰყოლია. მათე ბიჭის გარდა იარაღი არავის ჰქონია გამზადებული... სიკვდილს გადარჩენილმა მეფემ მხსნელი

მოიკითხა. მის წინაშე მათე ბიჭი წარსდგა და რამდენიმე წლის წინ დაკარგული თავი შეახსენა. სწორედ მაშინ გახსნა თავისი საიდუმლო და აღიარა, რომ ქალი იყო. იმ დღიდან მაია ქალის სამოსით შემოსა. კრწანისის ომში სპარსელებს ქალის მამაცობა გაჰკვირვებიათ და მისი ცოცხლად შეპყრობა უბრძანებიათ, დაუტყვევებიათ და შემდეგ ერეკლეს სახარისთან მოუკლავთ.

თამარ ვაშლოვანელი ხშირად იცვამდა კაცის ტანსაცმელს და მტრის წინააღმდეგ ვაჟკაცურად იბრძოდა. თამარი არ მალავდა, რომ ქალი იყო. ერთხელ სოფელ ვაშლოვანს თათრები შემოსვიან, სოფელი დაურბევიათ, ახალგაზრდები წინ გაუჩქიათ. თამარს შეუტრიალა ახალგაზრდები, რომელთა შორის ბევრი ქალიც ყოფილა, დასწვიან თათრებს, დაუმარცხებიათ და ტყვეები გაუთავისუფლებიათ.

მასაც მათე ბიჭივით ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია. ერთხელ შეუპყრიათ, უცემიათ და მტკვარში გადაუგდიათ. ნაცემი, ღონგამოცლილი ქალი წყლის ნაკადს ბურჯისთვის მიუხეთქებია, ძლივს და ამოსულა ჯებირზე, ჯებირიდან ვეღარ ჩამოსულა და იქვე გარდაცვლილა. გარდაცვლილი ვიღაც მეცხვარეს დაუნახავს და სოფლისთვის შეუტყობინებია. თამარ ვაშლოვანელი დიდი პატივით დაუკრძალავთ სოფელ ვაშლოვანში.

თინა წაკისელი სხვა მის ტოდ გოგობიჭებთან ერთად სპარსთათვის მიუყვლიათ. გზაზე სპარსელებს ტყვეებზე ძალადობა მოუნდომებიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, გადმოცემის თანახმად, თინაც დიდი ძალის პატრონი ყოფილა და მტრებს გასძა-

მიუიწყებელი სახელები

ლიანებია. ტყვეებს მათთვის ხანჯლები წაურთმევიათ, დაუხოცავთ და მათივე ცხენებით ერეკლე მეფეს ხლებიან. მეფეს თინას მამაცობა ძალიან გაჰკვირვებია, სასახლეში დაუტოვებია, სადღაც კარგად ისწავლა საბრძოლო ოსტატობა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება, თოფის სროლა, ცხენზე ჯდომა. ერეკლე მეფემ თინა მამაც გლეხზე დააქორწინა, მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს თინას მეუღლე დაიღუპა და თინა ორი მცირეწლოვანი ვაჟით დარჩა. მათგან ერთ-ერთს გიორგი რქმევა.

ლეკთა ერთ-ერთი შემოსევის დროს თინამ თანასოფლელები კოშკში გახიხნა. იმ დროს სოფლის ყველა მამაკაცი მეფის მორიგე ჯარში ყოფილა. თინამ კოშკის სათოფებზე ფუტკრის სკები დააღაგა და ხალხს ურჩია – სანამ ჯარს მოგვაშველებენ მტერი ფუტკრით შეაჩერეთო, თვითონ კი მალე მსობოლად წავიდა. ფუტკარმა ლეკის ჯარი გააქცია.

თინა წაკისელი გვარად ფეიქრიშვილი ყოფილა. ის ერეკლე მეფის გვერდით თითქმის ყველა ბრძოლაში იბრძოდა. მას კრწანისის ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა, სადაც ალა მამად ხანის მეომრებმა ტყვედ ჩაიგდეს. ერეკლე მეფეს ტყვეობიდან გამოუხსნია, მაგრამ უკან მობრუნებისას მტერს კვლავ ხელთ უგდია და ბოლნისთან ახლოს მოუკლავთ. გმირი ქალი ქმრის გვერდით დასახულავეს და მათი სახელები ამოკვეთეს. თინას ობლები კი მეფის კარზე მეომრებად დაიზარდნენ.

თქვენთვის მამაკაცებო!

სოლიანების ბარათი უსოლოებს

პეი, თქვენ, უცოლოებო, მარტოხელებო, მწირებო, ჩემი ბარათის წაკითხვა, იქნება არც კი ინებოთ. ვინ წაიკითხავთ, სხვა გეტყვით, საყვედურსა და სამღურავს. ენაც კაცია და თავზე კაცური ქუდი ახურავს. რისთვის დადიხართ მიწაზე, როს მარტოობით ბერდებით, სხვებთან რატომ არ უნდა ხარობდნენ თქვენი დედები? რად უახლოვებთ სიბერეს მშობლებს, ქცეულებს დარდებად, (წუთისოფელი ჯერ მათ და მერე თქვენ ჩაგიმწარდებათ) ზოგ-ზოგნი უკვე ბერბიჭობთ, მოგმართავთ სიტყვით უხეშით და ელით კვერცხი რომ დადოს, გუგულმა ამ თქვენს ბუდეში? ზოგნი საცოლეს იწუნებთ (ენდეთ გულწრფელად სიტყვას თქმულს), ზოგს მიჯნურობა პგონიათ, ათ ქალს რომ უხსნით სიყვარულს. ტელეფონებით რეკავთ და ვერ აუდიხართ პაემანს. რა გენადელებათ, ერთობით, იქნებ ვიღაცა „წაიბას“. ზოგნი არჩევთ და თან ფიქრობთ – საცოლეს ვნახავ კიდევო, გადაყოლილხართ ღრეობას, კომპიუტერს და ვიდეოს, ზოგნი წუწუნებთ – არ გვაქვსო კარგი ბინა და ავეჯი. (ფუფუნებას რომ ნატრულობთ, ცხოვრება მიტომ ასე გსჯით), ზოგს ბინაცა გაქვთ, მანქანაც, ყოველნაირი კომფორტიც,

მაგრამ მშობლების შემყურე, დადიხართ როგორც რობოტი.

სიტყვით მზადა ხართ – ერისთვის ეწამოთ, დამე ათენოთ, თქვე ვაი პატრიოტებო და მართლა ვაი-ქართველნო!

ასე რამ დაგაკნინათ და ასე რამ დაგაბეჩავათ,

წუთისოფლიდან ნეტავ რად უნდა წახვიდეთ ბედშავად?

– გაემრავლდეთ ქართველებო, გაჰყვირით ხელში ყანწებით,

გაჭაღარავდით, ბერდებით, გაგიფერმკრთადათ დაწვები.

შეხედეთ, ირგვლივ რამდენი გაუთხოვარი ქალია.

თავიანთ შინაბერობას რომ განიცდიან ძალიან.

რამდენი კარგი გოგონა ელის მომავალ საბედოს,

უნდა რომ შექმნას ოჯახი, შვილიშვილებში დაბერდეს.

ყოველი კარგი ოჯახი ერის, სამშობლოს ბირთვია...

ზოგს სამჯერ მოჰყავს ცოლი და თქვენ ერთიც ვერ შევირთვით.

ქალი ხომ თვითონ არ გეტყვით – მოდი, შემირთე ცოლადო!

ამ საქმის დაგვირგვინება ღმერთმა, ჩვენ – კაცებს მოგვანდო.

არარაობა იქნება, თქვენი ცხოვრება, იცოდეთ.

რომ დაბერდებით, წყალსა და ლუკმას ვინ გამოგიწოდებთ?

ნუთუ არავინ არ არის თქვენი ღირსი და სადარი?

თქვენი კაცური ღირსება და სიამაყე სად არის?

ნუთუ ის კმარა, რომ სხვების ბედნიერებას უცქიროთ?

რა არის კაცი ქართველი – მწირი, უცოლო, უძირო?!

დიდ ვაჟას მოვიშველიებ პატივისცემით, კდემითა:

„არ ვიცი, დასწნდით რისა და, ან რისათვისა კვლებითა!

ცოლიანთა დაგალებით

პანო ცინცაძე

იუბილე

იუბილე



ლეკან თედიაშვილი 65 წლისაა!

ერთხელ სამბოში - 1973 წ. მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი - 1978 წ.

მსოფლიო თასის მფლობელი - 1973 წ. ევროპის სამგზის ჩემპიონი - 1974, 1976, 1978 წლებში;

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი - 1971 წ.; საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი - 1973, 1974 წწ.

ორგზის მეორე - 1969, 1980 წწ. და მესამე - 1977 წ. პრიზიორი;

ლეკანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში;

იყო ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი 82 და 90 კგ. წონით კატეგორიაში; ევროპის ჩემპიონი 100 კგ წონაში;

საბჭოთა კავშირის წლის (1973 წ) საუკეთესო სპორტსმენი;

საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი - 1971, 1973, 1974 წწ-ში;

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ღირსების, ვახტანგ გორგასლის, სოკისა და ფილას ორდენების კავალერი;

ერთადერთი ქართველი, ვისაც ირანელებმა ტახტის ოქროს ორდენი მისცეს.

ორთაბრძოლა

ჩატარებული აქვს 640 ორთაბრძოლა ლევანისათვის იდეალი იყო მახანკალეული იური შახმურადოვი, რომელსაც 1971 წლის ივლისში შეხვდა.

ადვილი არ იყო ლევანისათვის მასთან შერკინება, მაგრამ როცა ლევანმა აქტიური ბრძოლი დაჯანა მოწინააღმდეგე, შახმურადოვმა გულითადად მიულოცა ლევანს ეს გამარჯვება.

იშვიათია, რომ მეტოქემ მეტოქეს გულთადად მიულოცოს გამარჯვება, მაგრამ ლევანი ამას იმსახურებდა... და რატომ?

„თედიაშვილის აზრით, ნამდვილი მოჭიდავე მეტოქეს ზურგს არ შეაქცევს, აკრძალულ იღუტებს არ იხმარს და სადემონსტრაციო საათისკენ არ დაიწყებს მალმალ მხერას.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი მოჭიდავე ხალხიზე მარტო ქულები-სათვის კი არ გამოდის, არამედ სახელისა და ღირსებისათვის“ (გაზ. „ლელო“ 1971 წ).

და კიდევ, ლევანი ჭიდაობას ყოველთვის ღიმილით იწყებდა, ღიმილით ჭიდაობდა და ღიმილითვე ამთავრებდა. „ლეკანმაც ვითომ

ხალადობოდ მიდისო, ისე გახვდა მეტოქეს, საკუთარი გამარჯვება იწამა (გაზ. „სამშობლო“ 1971 წ).

სწორედ ეს ღიმილი იყო იური შახმურადოვის (რომელსაც „სოვეტსკი სპორტ-ში“ ერთ-ერთი ეურნალისტი იფიცებოდა, „პლანეტაზე არ არსებობს ძალა, რომელიც შახმურადოვს ხალხიზე ბუჭს დაადებინებო“), წელში რომ ტეხავდა და მასთან შეხვედრისას მხოლოდ ვაჟაკური დამარცხებისათვის ხალიხიდან არ გადიოდა.

ასევე, მისი ღიმილი მორალურად და ფსიქოლოგიურად მოქმედებდა „არცთუ ისე ხელწამოსაკრავ ათლეტზე“ - ევროპის ჩემპიონ პანს შტოტმაისტერზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადზე (1971 წ. აგვისტო-სექტემბერი) ფინიშიზე შახმურადოვი და სიულფინი საჭიდაოდ არ გამოცხადდნენ, ლევანმა მოუგო ტიმირიაევს და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ჭიდაობა ელვისწრაფვად, წამის მესამეში შეეძლო ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლა, ამიტომაც ერიდებოდნენ მასთან შერკინებას. ახლაც ახსოვთ მის გულშემატკივრებს სოფიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე (1971 წ) ლევანმა სენგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიხს, შვეიცარიელი - 30 წამში, პოლონელი - 40 წამში, ევროპისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს რუმინელ იორგას და შტოტმაისტერს „ხვდა ბედნიერება წილად 9 წუთი ყოფილიყვენ საჭიდაო ხალიხზე. გურამ საღარაძე, ლევანის იდეალი ჭიდაობაში: „- ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. როცა მის შეხვედრებს ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოუძებნით.

მომადლეული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, იღუტების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის - თედიაშვილს ამპარტანოვისა და მედლიდურობის ნატამალიც არა აქვს. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია“ (გაზეთი „ლელო“, 1972 წ).

ირანის გუნდის ხელმძღვანელი ჰაბიბ ბულური აღფრთოვანებული უყურებდა ლევანის ორთაბრძოლას: - ლევან თედიაშ-

ვილს ისეთი თვისებები გააჩნია, რომელიც არც ერთ მოჭიდავეს არა აქვს. იგი განუყოფელი ფალანგია. თითქმის მთელი ცხოვრება ხალიხზე აქვს გატარებული და მეგონა ხალიხზე აღარაფერი გამიკვირდებოდა. გამოგიტყდებით, ლ. თედიაშვილის ჭიდაობამ ეს აზრი გამიქარწყლა. იგი გასაოცარი ტექნიკისა და ძალის მქონეა. მისი ტექნიკური არსენალი ათ მოჭიდავესაც კი ეყოფა.

მაგრამ სული, სული როგორი აქვს? - ქართული, ქართული და კიდევ ერთხელ ქართული - გაიხსენებენ ირანში, შაჰის წინაშე გამართულ, შაჰის სახელობის ტურნირს ქართველები?! 70 შეკვრა (პანკა) ათასდობარიანები შესთავაზეს ლევანს - იქნებ შაჰის ნაქები არ გაგვიკრაო ხალიხს - ირანელებმა. შუაკაცი ხომ ქართველი იყო. ლევანს მისებურად ჩაეცინა და ერთი მილიონით... ძლივს დათანხმდა შაჰი. მაგრამ სანამ ფულს „მოიტანდნენ“, ლევანმა წამებში შაჰის ფეხებთან გააკრა ბუჭებით ხალიხსა. გაკვირვებულ ირანელებს სუნთქვაც კი შეუწერდათ - ულამაზესი ფანდებისა და დახვეწილი იღუტების მაყურებელთ. მილიონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თითოდან ბუჭები წაიძრო (რაც იშვიათად ხდება) და ლევანს ულამაზესი ბუჭები აჩუქა (ლევანმა ეს ბუჭები ახლადშერთულ მეუღლეს ნანას აჩუქა).

ლეკანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ჯერ 82 კგ წონით კატეგორიაში - მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მოგება და შემდეგ 90 კგ წონით კატეგორიაში ევროპის პირველობაზე.

1973 წლის სექტემბერში ირანის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 12 ქვეყნის 69 ათლეტი იღებდა მონაწილეობას. თავისუფალ ჭიდაობაში ლევანმა ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ მას სამბოშიც მოუწია პაექრობა, გაიხსენა 8 წლის წინ მივიწყებული იღუტები და ოქროს მედალი აიღო.

დღეს ლევანი 65 წლის შესრულდა. **შულცაგაძე.**

დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ თავის ოჯახთან ერთად.

გაზეთი „გარეგანი მხარე“ რედაქცია

ფუსვაბი

ლეკან თედიაშვილი - დაიბადა 1948 წლის 15 მარტს, საგარეჯოში.

დედა - ალექსანდრა ბაღანდინა, წარმოშობით ვოლოგადსკის ოლქიდან იყო, კარგად იცოდა ქართული ენა, ქართული ტრადიციებიც და პატივს სცემდა მათ.

მამა - ქიტეხა თედიაშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მშრომელი, ალალი კაცი იყო.

მამა - გერმანე ირიკალოვი. შვიდი წლიდან საგარეჯოში, თედიაშვილების ოჯახში იზრდებოდა. კარგად იცის ქართული. მას ჭიდაობაზე სიარული ბავშობიდანვე მან ურჩია. ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს.

ოჯახი

მეუღლე - ნანა მჭედლოშვილი, პროფესიით ექიმი ოფთალმოლოგი.

შვილები: ვახტანგი - დაიბადა 1972 წელს, გარდაიცვალა 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთის ომის ბოლო დღეს.

ბები - დაიბადა 1974 წელს. ჰყავს ცოლ-შვილი.

ლეკანის წარმატებებისა და გამარჯვებების „სიძვრი“

1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ თავისუფალ ჭიდაობაში - 1971, 1973, 1974, 1975 წლებში;

პროზა

მოკრძალებული გამარჯვებების ხაზი

23 თებერვალს თბილისში გამართულ საქალაქაშორისო პირველობაზე კრივში 1997-1998 წლებში დაბადებულთა შორის საგარეჯოელი მოკრძალებული იღებდნენ მონაწილეობას. საამისოდ ახალგაზრდა მოკრძალებული მართლაც რომ სერიოზულად მოემზადნენ და შედეგებიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

I ადგილები დაიკავეს: ილია ქაჯაიამ (57კგ), სოსო მღებრიშვილმა (60 კგ), ხაზრი სადიკოვმა (54კგ), ალიკა ალოიანმა (40კგ), არტურ ალოიანმა (45კგ).

1-3 მარტს კახეთის რეგიონის პირველობაზე კრივში მოსწავლეობა შორის მიწვეული იყვნენ: გურჯაანის, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხისა და ახმეტის მოკრძალებული გუნდები. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ 1997-1998, 1999 და 2001-2002 წლებში დაბადებული ნორჩი მოკრძალებული.

საგარეჯოდან I ადგილები დაიკავეს: სოსო მღებრიშვილმა (57კგ წონითი კატეგორია; დაბ. 1997 წ.), ხიზრი სადიკოვმა (54კგ, დაბ. 1998წ), გურამ კურტანიძემ (52კგ, დაბ. 1997წ), ალიკა ალოიანმა (40კგ, დაბ. 1998წ), არტურ ალოიანმა (54კგ, დაბ. 1997წ), ტატო შიოშვილმა (39კგ, დაბ. 2002წ), გიორგი ივანიაშვილმა (30კგ, დაბ. 2002წ), გიორგი მალასიძემ (34კგ, დაბ. 2002წ).

მეორე ადგილები დაიკავეს: გიორგი დეკანოზიშვილმა (50კგ, დაბ. 2004წ), უნა გრძელაშვილმა (32კგ, დაბ. 2002წ).

უფლოცავთ ამ გამარჯვებებს ჩვენს მოკრძალებულსა და მათ მწვრთნელს ბნ ზურაბ იმნაძეს.

თავისუფალი ჭიდაობა

15 თებერვალს საგარეჯოში გაიმართა კახეთის რეგიონალური შეჯიბრი თავისუფალ ჭიდაობაში. ერთმანეთს შეხვედნენ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდები. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 4:3. შეხვედრაზე კარგად იჭიდავეს მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის მოსწავლეებმა.

20-21 თებერვალს ქ. თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის საგარეჯოელი მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათგან მიხეილ მამუკაშვილმა (60კგ წონითი კატეგორია), გიორგი პასიკაშვილმა (50კგ წონითი კატეგორია) და ბექა როჭიკაშვილმა (84 კგ წონითი კატეგორია), მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

22-23 და 24 თებერვალს ქ. თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე დიუდოში ჭაბუკებს შორის I ადგილი დაიკავეს: სიმონ მამარდაშვილმა (66კგ წონითი კატეგორია) და თამაზ კირაკოზაშვილმა (79კგ წონითი კატეგორია), ხოლო კობა მჭედლოშვილი (66კგ წონითი კატეგორია) მესამე ადგილს დასჯერდა.

ქიულო

22-23 და 24 თებერვალს ქ. თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე დიუდოში ჭაბუკებს შორის I ადგილი დაიკავეს: სიმონ მამარდაშვილმა (66კგ წონითი კატეგორია) და თამაზ კირაკოზაშვილმა (79კგ წონითი კატეგორია), ხოლო კობა მჭედლოშვილი (66კგ წონითი კატეგორია) მესამე ადგილს დასჯერდა.

ოთარ არჩუაძის პრიზუა

2-3 მარტს საგარეჯოს სპორტულ დარბაზში ჩატარდა ოთარ არჩუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1999-2001 და 1997-1998 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ამბროლაურის, ონის, კასპის, მცხეთის, აფხაზეთის, მარნეულის, ბოლნისის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს ნაკრები გუნდები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს გოგონებმაც. ჩვენი რაიონიდან I ადგილები დაიკავეს: ნიკა მესროფოვმა (46კგ წონითი კატეგორია), დავით მარტაშვილმა (54კგ), გიგა შიოშვილმა (69კგ), და ლევან ბოჭორიძემ (მძიმე წონა), ხატია მინდიაშვილმა (46კგ).

მელოცვა

საგარეჯოს აიპ სპორტული გაერთიანების თანამშრომელი მამაკაცები გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს ვულოცავთ ამავე გაერთიანების თანამშრომელ ქალებს: ექიმ **ია ბაბუნაშვილს**, მწვრთნელ **ელენე ფარეშიშვილს**, ადმინისტრაციულ მუშაკებს: **თამარ მელაშვილს**, საბუღალტრო დარგის სპეციალისტს **მაია (მარინე) ჯავახიშვილს**, სპორტსმენ **ნანი უნაშვილს**, ტექნიკურ პერსონალს: **ანა ჭუმელაშვილს**, **გიორგი ნაპულაშვილს**, **მერი მჭედლოშვილს**, **იამხა კუხანაშვილს**, **სვიტლანა პოლიაკოვას**, **მარინა თედიაშვილს**, **გუსურვეტი ჯანმრთელთა, სიკაბეთს, სიხარულს**.

ბილოცვა

III ადგილები დაიკავეს: მიხეილ ბოჭორიძემ (56კგ), ომარ ასაბაშვილმა (46კგ), ნიკა ქელოვიძემ (60კგ), ლევან კანჯარაშვილმა (76 კგ). II ადგილი: ნუნუკა ღონდარაძემ (60კგ), ხატია კველიშვილმა (46კგ). დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. ოთარ არჩუაძის სახელობის პრიზი გადაეცა ლევან ბოჭორიძეს, მიხეილ არჩუაძის სახელობის პრიზი - გიგა შიოშვილს, არსენ მელოკიშვილის სახელობის პრიზი - გიორგიმინდელ ნიკა მესროფოვს და საგარეჯოელ დათო მარტაშვილს.

ბილოცვა მარტაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

მელოცვა



დაბადების დღეს და ქალთა დღეს ვულოცავთ მარტში დაბადებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს **ნატო ბილაშვილს** და **თამარ ოძროცხაიძეს**. გაზაფხულის ღამაში დღეებით გქონდეთ ცხოვრების გზა განათებული.

*გაზეთი „გარემოს მაცნე“
თანამშრომლები*



ქალი მოჭარბაკე – საქართველოს ჩემპიონი ნანის კილაშვილი ერთი გამარჯვება



– ელენე თქვენი მწვრთნელია, როგორ დაგეხმარებოდა მას, როგორც მწვრთნელსა და როგორც პირვნებს?

– ელენე ჭადრაკის მეშვეობით გაცივანი და პირველი დღიდანვე შემიყვარდა, როგორც მასწავლებელი და როგორც ადამიანი. ალბათ ამან განაპირობა ჩემი ჭადრაკისადმი დიდი დაინტერესება და სიყვარული. იგი არა მარტო მასწავლებელი, ჩემი უახლოესი მეგობარიც იყო, არის და იქნება. არასოდეს დაგვიწყებ მის შრომას და ამავსე ჩემი წარმატებებისათვის.

– რა მიღწევები გაქვთ ჭადრაკში, ჩამოგვითვალეთ

– თავდაპირველად 2005 წელს 9 წლის ასაკში გავხდი საქართველოს ჩემპიონი 10 წლამდე გოგონათა შორის, შემდეგ 2007 წელს საქართველოს ჩემპიონატის II ადგილის მფლობელი 12 წლამდე ასაკის გოგონებში. 2008 წელს ევროპის სკოლებს შორის ჩემპიონი 15 წლამდე გოგონებში. 2009 წელს „ოქროს პრელას“ ჩემპიონი და 16 წლის გოგონებს შორის საქართველოს ჩემპიონატის II პრიზიორი. 2010 წელს საქართველოს ჩემპიონი 16 და 20 წლიან გოგონებში. 2011 წელს 18 წლიანი გოგონების საქართველოს ჩემპიონატის II ადგილის მფლობელი. 2012 წელს საქართველოს ჩემპიონი 20 წლიან გოგონებში. 2013 წელს საქართველოს ჩემპიონი 18 წლიან გოგონებში. თბილისის ჩემპიონი 10, 12, 14 და 16 წლიანებში. საერთაშორისო ტურნირებში მრავალჯერ ჩემპიონი და პრიზიორი.

– მომავლის გეგმები...

– მომავალში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას – წელს საჯარო სკოლას ვამთავრებ და თუ საკმარისი დრო მექნება, გავაგრძელებ ჩემს საყვარელ სპორტსაც.

– როგორ მიულოცავთ 3 და 8 მარტს ქალებს?

– 3 და 8 მარტს ვულოცავ ყველა დედას და ყველა ქალს, ვუსურვებ დიდ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას.

კილაშვილი თინა ილაშვილი

დედის დღეს ბილოცავთ ქალებს

ღმერთის წილხვედრი სამშობლო ტკბილად შეირგეთ, ქალებო, სათუთად უნდა მიხედვა, ოჯახს რომ ჩაიბარებთო. გამოისახავთ პირველად, საქმესაც მოაგვარებთო. წამომარაგებთ შეილებსა, დაზრდით, ხელს მოახმარებთო. სამშობლოს სიყვარულისთვის ნურაფერს დაიზარებთო. ფლიდსა და მოღალატესა ახლოს ნუ გაიკარებთო.

წინაპართ სული ილოცეთ, წმინდა მანდილის ღირსება, მათ მოვლენებით ყოველთვის გული სიამით ივსება. ქალია ერის საუნჯე, მისი პირადი ღირსება. იმრავლეთ მანდილოსნებო შეილებით, შეილიშვილებით, სამშობლოს მტრები მოუსპეთ თქვენი დაზრდილი გმირებით ღმერთთან იყავით მართლები თქვენ ღოცვა-დანაპირებით, გინდ ოკეანე გასცურეთ არასდროს ჩაიძირებით. ღმერთმა ღმობად აქციოს ვისი აკვნებიც ასწიეთ. ერის ოცნება ვე არის, დროშები მალდა არწიეთ. ეიმედებით სამშობლოს, მტერი ჩეხეთ და არბიეთ.

*გრიშა ახციშვილი
სოფ. გორანა*

გორანელი „თეთრქორო“ 85 წლისა

იუბილე

„თეთრქორად“ იცნობენ მთის სოფლის მოსახლეობა გორანელ გრიშა ახციშვილს. ეცნობი პოეტის ბიოგრაფიას და „თეთრი შური“ გიპყრობს მისი ახლოობებისა თუ მთის ზონების – ასეთი საამაყო პიროვნება ალბათ არ ჰყავს არც ერთ სოფელს – ბძქენი, მჭერმეტყველი, ქართული სიტყვის დიდი ტრფიალი, პარღვიანი ქართული სიტყვის მჭედელი და ქართული სიტყვის რთიმის გამომწარსავი. მასთან საუბარშიც ფრთხილად უნდა იყო და ეცადო არსად წაიფორხილო, კაცურად იცხოვრო, თორემ შენს ქმედებაზე კარგად მორგებული კაფიებისა თუ ლექსების აღრესატი იმავე წუთში გახდები... ქართველობის, კაცობის, ადამიანობის, ამ ქვეყნად აღამიანად მოვლენის სიხარული, სამშობლოს, მშობლიური მთა-ველის, მინდერისა და იერის ჭაღების სიღამაზე და სინატიფა მის ლექსებში. წააკითხეთ ეს ლექსები თქვენს შვილებს და მიხედვით, რა არის საქართველო, ვინ ვართ ქართველები, როგორი სიყვარული და ურთიერთგატანა ვიცით ქართველებმა და აღარ იქნება შური, გაუტანლობა, არდანობა, დაღატი...



2 მარტს გრიშა ახციშვილს 85 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს შეუმჩნეველად ვერ გაუშვებდა კოჭბანის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი ხათუნა მძელური. იუბილარს შეხვედრა კოჭბანის საჯარო სკოლის შენობაში მოუწევს და იმ დღეს ლექსების კითხვაში ერთმანეთს იწვევდნენ ქართული ლექსის ტრფიალი, ერთმანეთს ბნ გრიშას სიყვარულში ფაქტობრივად სტუმრებიც და მასპინძლებიც. იუბილარს საკუთარი ლექსი მიუძღვნა საგარეჯოს აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორმა ბესიკ დვინაშვილმა, სახალხო მოქმედმა ნინოშინდელმა შალვა ოკინაშვილმა, მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერმა თინათინ მეზერაშვილმა, კოჭბანის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ანგელინა ნადირაძემ. ბნი გრიშას მეუღლემ სანათა ბერძენიშვილმა გაიხსენა თავიანთი სიყვარულის ამბები. ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „კაკაბელების“ ხელმძღვანელ-

მა ნიკო გიგორაშვილმა და ანსამბლის წევრებმა ანზორ პირაშვილმა და რევაზ კვერასვილმა ქართული ხალხური სიმღერებით მიულოცეს იუბილარს ეს ღამაში დღე.

თინათინ მეზერაშვილმა ღამაზად, სიყვარულით გაიხსენა ბნ გრიშასთან პირველი შეხვედრის სიხარული, მისი მეგობრების – თრი ღვთისოს ლექსებით შეაპყრება და გამოთქვა ღრმა წუხილი – არც ერთი ღვთისოს რომ აღარ უშეგნებს მხარს ბნ გრიშას და ჩვეული იუმორით, კაფიებით არ მიჰყავთ მისი საიუბილეო საღამო...

იუბილარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კოჭბანის თემის რწმუნებულმა მალხაზ წიკლაურმა, წაუკითხა საკუთარი ლექსი და როგორც თემის რწმუნებულმა დამსწრე საზოგადოებას მისცა პირობა – სულ ახლო მომავალში კოჭბანის თემს ექნება შესაბამისი კულტურის ცენტრი, სადაც საინტერესო ღონისძიებების თანამონაწილეები იქნებიან.

დასასრულ, საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერმა თინათინ მეზერაშვილმა კოჭბანის საჯარო სკოლის მასწავლებლებს მიულოცა მარტის ღამაში დღესასწაული და მასპინძლორ სახუქრები გადასცა.

იმ დღეს იუბილარმა მისი ნიჭის თავგანისმცემლებსგან სიყვარულით მიძღვნილი სახუქრები მიიღო.

თინა ილაშვილი

მაცნე

საქველმოქმედო აქცია

ამ წერილის დაწერა 2 მარტს ჩატარებულმა საქველმოქმედო აქციამ გადაამაწყვეტინა. აქცია კი „ავერსის“ აფთიაქთან გახსნილი საქველმოქმედო საქონლტაცით და დიაგნოსტიკური კაბინეტის ექიმების ინიციატივით ჩატარდა რაიონის ქალებისათვის.

პირველი კაბინეტი 2012 წლის ნოემბერში გაიხსნა. ექიმ-კონსულტანტად ბნი ნიკო გიუაშვილი იქნა მოწვეული, რომელმაც ამჟამად დაწყებული სამედიცინო რეფორმის მხარდასაჭერად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა კვლავ აქტიურად ჩაბმულიყო ამ საქმიანობაში. სამედიცინო საქმიანობა კი მან 44 წლის წინ დაიწყო სოფელ კაკაბეთში. აქედან მოყოლებული დღემდე როგორც კაკაბეთის, ასევე მეზობელი სოფლების მოსახლეობისათვის ღამის ოჯახურ ტრადი-

ციად არის ქვეული ნებისმიერი სამედიცინო პრობლემის შესახებ კონსულტაციების გაგება ბნ ნიკოსთან. შემდეგ იყო თბილისი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, სადაც წლების მანძილზე მუშაობდა თერაპიული განყოფილების გამგედ. მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში სამედიცინო სამსახურის უფროსად. აქტიურად იყო ჩაბმული ომის ვეტერანთა სარეაბილიტაციო პროგრამაში. მანამდე კი ჯარისკაცებს პირდაპირ ომის წინა ხაზზე უწევდა სამედიცინო დახმარებას.

მეორე საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ კაბინეტში კი ერთი თვის წინ დაიღო ბინა საგარეჯოში ყველასთვის ცნობილმა და პატივსაცემმა ექიმმა თამარიკო გოგილაშვილმა. მას 30 წლიანი სამედიცინო გამოცდილებითა და კეთილშობილებით დაპყრობილი აქვს რაიონის მოსახლეობის გული. ამავე დროს ორი წელია, რაც სადაზღვევო კომპანია „აღფას“ ოჯახის ექიმია და თავდაუზოგავად ემსახურება დაზღვეულ პაციენტებსაც.

ამ ორი უკეთილშობილესი ადამიანისა და ექიმის ინიციატივით ჩატარდა საქველმოქმედო აქცია 2 მარტს და 60-მდე პაციენტს უფასოდ და უანგაროდ მოემსახურა ორივე კაბინეტი. **მალხაზ წიკლაური** მადლობა გამოთქვამს.

ღმერთმა გვიმარავლოს არა მარტო საგარეჯოში, არამედ მთელ საქართველოში ისეთი ქველმოქმედი ადამიანები, როგორებიც არიან ბნი ნიკო და ქნი თამარიკო.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ავერსის“ აფთიაქთან არსებულ კაბინეტებში ფუნქციონირებს: თერაპევტის კონსულტაცია, ნევროლოგიის კონსულტაცია, ექოსკოპია, ელექტროკარდიოგრამა, შაქრის განსაზღვრა სისხლში.

ომისა და შრომის ვეტერანების მომსახურება უფასოა, ასევე უფასოა მედიკამენტებზე კონსულტაცია და განმეორებითი კონსულტაცია.

2 მარტის აქციის პაციენტი, საგარეჯოს II საჯარო სკოლის პედაგოგი ბიუღი მინუსაშვილი.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

იხილვა

იყიდება ფუტკარი – 10 სკა, ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით:

593 66-92-32. გიორგი